ოთხშაბთი, 25 დეკემბერი 1913 წ. ფასი 5 კაპ.

მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 9

გამოვა ყოველ-კვირაობით, თუ ჩვენი კორესპონდენტები ხელს შეგვიწყობენ. მისამართი: Тифлисъ, Типог. Шрома, «Матрахи»

1232

გლეხის სიმღერა.

არ იქნა, ვერ გადავგდეთ,
ეს ჩვეულება ძველიო,
ამ ბედნიერ დღეს მომწყვიტა
ხურჯინის თრევამ წელიო.

ზურგზე მოვიდე ბარგათა—
მთელი წლის ჩარჩო ჩვენიო!
მივდივარ,—ჩემსა ნათლიას
უნდა მივართვა ძღვენიო!..

მა—ნი.

შ ო ბ ა

დღევანდელი დღე გვაგონებს
დღესასწაულს, წარსულ შობას
მისას, ვინაც ქადაგებდა
სიყვარულს და კავშირ-ძმობას!
მისას, ვინაც ჩაგრულ ხალხსა,
მოევლინა მხსნელ-მფარველად
და თვალები უსინათლო
აუხილა მან პირველად.
ქადაგებდა: ,,შეიყვარეთ
სხვა, ვითარცა შენი თავი;
ადამის-ძეთ არ შეშვენით—
შური, მტრობა, საქმე ავი.
ვისაც ორი პერანგი გაქვთ
ერთი დასთმეთ მიეცთ შიშველს,
ღირსია, რომ აფასებდეთ
გაპივრებულ კაცის მიმშველს.
ერთი პური რომა გქონდეთ
გატეხეთ და ნახევარი
მიაწოდეთ, თუ მშიერი
შეგხვდეთ გლახა-მათხოვარი''!
სხვა ათასი უთვალავი...
ვინ ასრულებს დღეს მის მცნებას?
აღარავინ, რადგან ფრთები
გაშლილი აქვს ბოროტებას!
აბა ერთი გამობრძანდით
იწყეთ მისებრ ქადაგება
და იმ წამსვე დაინახავ—
რა კარგი დღე დაგადგება.
შეიყვარე აბა ვინმე
ისე, როგორც შენი თავი—
ნახე თუ არ გიღალატოს
და არ გასვას საწამლავი!.
სადაც მიიხ-მოიხედავ,
ყველგან მტრობა, ყველგან შური,
ერთისა საბედნიეროთ—
ათასია უბედური!
ვისაც ორი პერანგი აქვს
მესამესაც ეძებს, ღნდა
და ის შიშველს რას დაუთმობს,
თუ არ წახდა—არ გახუნდა?!
დღიურ შრომით ქანც მილეულს
უყიდია ერთი პური,
სახლში მიაქვს, რომ წვრილ ცოლ-შვილს
გაუწიოს სამსახური.
მით, იგინსაც ვერ გააძღებს
და რომ გასცეს ნახევარი;
რაღა უთხრას მშიერ ცოლ-შვილს,
უთხრას ვნახე მათხოვარი?!
შიოდა და შევიბრალე—
შიმშილობა ნუ გვაწუხებს,
ავიტანოთ...მას მშიერი
ცოლ-შვილი რას უპასუხებს?!
კარგს არაფერს... დამანახეთ
სად არსებობს ქრისტეს მცნება?
და მივიხედ-მოვიხედოთ—
ერთი ვინმე თუ იქნება,
რომ მის მცნებას, მის მოძღვრებას
იცავდეს და მსახურებდეს
და იმავე დროს—ქანქარით
ჯიბეებს არ ახურებდეს...
სიტყვით ყველა იმას მივსდევთ—
რასაც ქრისტე ქადაგებდა,
მხოლოდ საქმით—რასაც იგი
მუდამ გმობდა, აძაგებდა!..
დღევანდელი დღე გვაგონებს,
გოლგოთას მთას, ჯვარცმას, შობას
მისას, ვინაც გვასწავლიდა—
სიყვარულს და კავშირ-ძმობას.

ვარლამ.

როდის ამოხვალ გაზაფხულის მზევ?

—

ზამთარი დადგა, გატიტლიკანდა
ბალ-წალკოტ-ველნი, ტყე-მინდორ-მთები
და ბუნებისა ასაკვნესებლად
სუსხ-ქარიშხალმაც გაშალა მთები.

გამეფდა ყინვა.. აღვირ-წახსნილი
ქარი ზუზუნებს, ღმუის, ტრიალებს;
ცა კვნესის, აფრქვევს მწუხარების ცრემლს,
ზღვა ღელავს, შფოთავს, გმინავს, ღრიალებს.

როდის ამოხვალ გაზაფხულის მზევ!
როდის დააფრქვევ სხივს ამ ქვეყანას,
როდის გამართავ ტანჯულებს წელში,
როდის აღადგენ ზეზე მათ ხანას?!.

—მალე, სულ მალე,—გაიფანტება
შავი ღრუბლები, ჩადგება ქარი,
სხივი მოხვდება ჩაგრულთა მხარეს
და სულსა დალევს ცივი ზამთარი.

ისევ ვიხილავთ გაზაფხულის მზეს,
ქოჩორ აყრილ ტყეს, ტურფა ბუნებას
და შეუდგებით ზამთრისგან წამხდარ
საქმის აღდგენას, გამობრუნებას!..

ვ. აბრამიძე.

ნაზი მშობელი

(საშობაო მოთხრობა)

ფ. მაიელიდან.

ეს იყო სწორედ ერთი თვის შემდეგ რაც დაიბადა პატარა საუ. მსხვილ-მსხვილი ვაჭარი ივ. საუ მიდიოდა როსკოფის ქუჩაზედ და მიაგორებდა პაწია ეტლს? რომელშიდაც ეწვა თავის ახალ შეძენილი ვაჟი. თანახმად ჩვეულებისა ქალბატონი საუ შობა დილით გაემგზავრა თავის დედასთან უმალვე; და ქმარს დაავალა, რომ ბავშვი კარგათ ჩაეწვინა ეტლში და წამოეღო ყოველივე ბავშისთვის საჭირო ნივთები.

— დაე მეხი დამეცეს თუ რამე საჭირო ნივთი დამრჩა,—წაილუღლუღა თავისთვის ვაჭარმა, როდესაც გაჩერდა ოფლის მოსახოცათ და თან აჩქარებით დაიწყო თვლა:

— გულსაფარა... თავსახური... ცხვირსახოცი... საგები... პერანგები, თითქმის ყველა არის... მაგრამ რაღაცა რომ თვალში მაკლია? გადავთვლი თავიდგან: პერანგები... ჩულქები... თავსახური... ის ფიქრობდა... ის ოცნებით მოსავდა თავის ბავშს თავიდგან ფეხამდი, მაგრამ არ იქნა, რაღაცა აკლია. ასეთ გასაჭირში იყო ჩვენი მოთხრობის სასაცილო გმირი, როდესაც მას წამოეწია თავის მეგობარი ოტრე, რომელმაც მიულოცა ახალ შეძენილი მემკვიდრე —მეგობარო ოტრე!,—უთხრა საუმ, მე მიმყავს ბავშვი ცოლთან, რომელიც გაემგზავრა თავის დედასთან, მაგრამ რაღაც ბავშვისთვინ საჭირო დამრჩა სახშიდ; მაგაში ეგრე ვარ დარწმუნებული; როგორ შენ გხედავ, მაგრამ რა დამრჩა ვერ გავიხსენე. აი! ეხლა შენც ხომ გყავს ბავშები? დაიწყე თავსახურიდგან და ჩამომითვალე ფეხსაცმელამდინ და სამაგიეროთ ისეთ „სეკრეტს“ გეტყვი რომელიც ძრიელ საჭირო არის ჩვენი ხელობისათვის. გახარებულმა და გამხნევებულმა ამ დაპირებით ოტრემ დაიწყო:

— საწოვარი!

— არა! ეს ქე მომაქვს.

— გულსაფარა! ცხვირსახოცი!

— არა! არა! ცოტა რაღაცა უფროსი ნივთია, აი! უფროსი... გაკვირვებულმა და თან დაინტერესებულმა ასეთი შემთხვევით, ოტრემ გაყვა უკან თავის მეგობარს, რომელიც ისევ ჩაფიქრებული მიაგორებდა პაწია ეტლს. ამ დროს ამათ წამოეწია ახალგაზრდა კორი. მას ძრიელ გაუხარდა საუს შეხვედრა, რადგანაც უკანასკნელი კარგი ოსტატი იყო ცხენების არჩევაში. კორმა დაიწყო თავის საჭირო საგანზე საუბარი, მაგრამ მას შეუტია ოტრემ და სიტყვა გააწყვეტინა. საუმ კი აღუთქვა დახმარება იმ შემთხვევაში, თუ ის მოაგონებდა, იმ ნივთს, რომელიც მას სახლში დარჩა.

კორმამც ფიქრს მისცა თავი... და ბოლოს გახარებულმა წამოიძახა:—საწოვარი!

ორთავე თანამგზავრებმა შეუკურთხეს მას. დაინტერესებულმა კორმა, რომელსაც სრულიად დაავიწყდა სამარცხვინო ცხენის ყიდვა, უკან დაედევნა საუს და ოტრეს იმ ფიქრით, რომ ამოცანას ახსნიდა და შემდეგ საუსგან დახმარებას მიიღებდა. საუმ კი შიშით ნაბიჯს უკლო, რადგანაც იგრძნო თავისი სიდედრის სახლთან მიახლოვება.

როდესაც ის ეზოში შევიდა მას უკვე ახლდა რამოდენიმე ათეული ნაცნობ-მეგობრები, რომლებსაც სურდათ გაეგოთ, თუ რა ნივთია ის რომლის სახელიც ვერავინ სთქვა, და რომელიც აგრე აღონებდა საუს. აივნიდან მისვლისას სახლიდგან გამოხტნენ გახარებული ცოლი და სიდედრი საუსი.

— ჩემი პატარა ბიჭუნია! შესძახა გახარებულმა ქალმა და მივარდა ეტლს მაგრამ მალე უკან დაიხია და განცვიფრებულმა ქმარს მიაშტერდა.

— მე... მე.. რაღაცა დამავიწყდაძა ვერ მოვიგონე.--წაილუღლუღა ქმარმა.

— შტერო!—ზიზღით შეუყვირა ცოლმა—დურაკო! სად არის ბავშვი?..

და ყველანი თავმოგლეჯილი გაიქცნენ ვაჭრის ბინისაკენ.

ბორბოშა.

ბულბული და მებაღე.

იგავისებური.

(დასასრული)

III.

დრო გადიოდა, მებაღემ
მაგრათ მოიდგა ფეხები;
მტრებს ბაღზე შემოსეულებს
დასცა თავ-ზარის მეხები
და შინაგანი მტრებიცა
უკულმა დაატრიალა;
შეჰყვირა—აიცანცახა,
განდევნა, გაატიალა.
ტყე გასჭრა, გზა გაიყვანა
დაქსაქსა თვისი ძალები;
აენთო ცეცხლებრ, სიხარბით
დატყვევებული თვალები!
დაიწყო ბაღში პარპაში—
მორთო, მოკაზმა—ნებაზე;
სულ სხვა ჰანგები აღერა,
გადიუხვია მცნებაზე!

ბულბულმა უთხრა: „კეთილო!
ძლევა, გონება — ულეო;
მადლობელ ი ვარ ძალიან,
რაც თქვი, რომ აასრულეო!
აწ ბაღი მე გადმომეცი,
გაფიცებ წმინდა ძმობასა,
მე უფრო გამოვადგები,
გაუწევ მეგობრობასა“.
— „რომელი ბაღი, რა ბაღი?!
ეს სადაური მტერია?!
ერთი მითხარი, ვის დარჩი
ასეთი ბედნიერია!
რასა ითხოვ, რა გსურს, რა გინდა?!
ან რა გაქვს მონაბარია!
როდის ვიყავი შენი ძმა,
ან შენი მეგობარია!
გულ-კეთილი ვარ მტრებზედაც
ვფიცავარ მაღალ ზენასა,
თორემ მაგ თავხედობისთვის
ამოგაგლეჯდი ენასა“!
ბულბულმა უთხრა: „რას ამბობ
მიხედე სინდის — დროსაო,
ბაღი ჩემია, აწ წადი,
გადაიკარგე შორსაო.
გენდე, დროებით გადმოგეც,
მეგონე წმინდა გულისა,
ახლა რა ღმერთი გაგიწყრა,
ანდა ვინ გაგაგულისა?
შვენების წალკოტს ვინ მოგცემს,
რათ წაიხდინე პირია;
გინდა ისედაც ავათ-მყოფს,
დამირთო ჭირზე ჭირია?
კარგი, გეყოფა ხუმრობა,
სევდით ნუ მილევ ძალასა;
შენ დაგილოცავ ადრევე
აღთქმულ ტყესა და ჭალასა!
ბაღზე კი ხელი აიღე
და დამიცალე მალეო,
დახმარებისთვის მიიღე
აღთქმული, გენაცვალეო“!
— „რა აღთქმა, რა ტყე, რა ჭალა?!
როცა აქ ყველა ჩემია!
რას სჩივი? შენი რა მმართებს?
ან რა მაქვს მოსაცემია“!!!

IV.

დაეცა სულით ბულბული,
ცხარე ცრემლები სდიოდა;
ბუჩქებში: მხარ ჩამოყრილი
დადიოდა და სჩიოდა:
„სულელობითა დავკარგე
მამული ჩემო შვილებო,
ვაიმე ბაღო, — ყვავილნო,
ვარდებო გადაშლილებო“.
დაღონდა, დაბლა დაეცა,
ფრთების შეჭკვცამ გახარა;
დარდებში სული დალია,
შვილები ობლათ დაჰყარა!.
—
დღეს უმამულო ბულბულნი
ტყეში და ღრეში ჰყივიან;
დაკარგულ მამის მამულზე,
დაფრთხიალობენ, სჩივიან!
მამას არ მისცა მამული,
დროებით მიბარებული
და აბა შვილებს რას მისცემს
მენალე გამაგრებული!..

ვაშა-ბაქურა.

ბეთლემისაკენ.

ს[illegible]ა დ ღ[illegible]ე ი[illegible]ს ო.

ძირს, მაცდურო, გამონახე
შავი მიწა, ჯოჯოხეთი,
შენი მტერი დაიბადა,
დაიბადა ქრისტე-ღმერთი..
იუდებო ძრწოდეთ მუდამ,
დადგა ქვეყნათ სიხარული,
იშვა ქრისტე იქადაგა —
კაცთა შორის სიყვარული.

იძახიან: „ქრისტე იშვა,
მოგილოცავთ ქრისტეს შობას,
გაუმარჯოს მის მოძღვრებას,
ერთობას და თანაგრძნობას“.
ძირს მაცდურო, გამონახე
სამყოფელათ ჯოჯოხეთი,
შენი მტერი დაიბადა,
დაიბადა ქრისტე ღმერთი.

ბუ—ტი.

პატარა ფელეტონი

სატანა და მისი ჭკუა.

ჭკუა. აკი გითხარი შენ სულელო,
„სატანას“ თავო,
გადაიკიდებ მთელ ქვეყანას,
ჭკუით იყავო?!
და დარიგებას ეთანხმოდი:
„არ ვიზამ მეტსა“,
თან იფიცვიდი — ზევით ცასა,
ქვევით ხმელეთსა.
არც კი გასულა საათისა
ერთი თუ ორი,
ეგ შენი ფიცი უკუ-აგდე,
გამოდგა ჭორი;
და კვლავ ეწვიე, მოსვენებას
არ აძლევ ხალხსა,
შენ გაასწორებ ბრუნდს და მართალს
ამ ქვეყანასა?!
რომ უჩხიკინებ, თუ გინდ სიეზდს
რა დააშავა?
ნუ თუ იმისთვის — ჭიათურა
არ ააყვავა?!
ან იქნებ მისთვის, რომ სიეზდის
ყველა ადგილზე,
მხოლოდ „კვირიკებთ“ პატიოსნებენ
გაშლილ სადილზე?
ან კიდევ, ვისაც „პროტექტორი“
უვარგა ქალი,

ქარაფშუტა კნიაზების დროს ტარება.

გაუსვი და გამოუსვი,
დაუკარით ტაში-ტუში!
ათამაშე „კნიაზ“ მიშა
როცა იყო გადაკრულში!

დრო ატარე „კნეინებთან“
არშიყობა-სიყვარულში;
შენ რომ გხედავ, მაგონდება—
მაიმუნი, ბაიყუში.

კუდიანი.

საკმარისია ერთს ბობოლას
უქნიოს თვალი,
რომ თბილ ადგილზე წამოსკუპდეს
სწორედ ის გვარი,
ვინაც შენ გსურდა,—ამისათვის
მიუძღვის ბრალი?.
ვერ გაასწორებ, გიმეორებ,
ვერა და ვერა;
იცოდე, ბევრჯელ აგიტყდება
გულისა ძგერა...

სატანა. სიმართლის თქმაში ჩემო ჭკუავ,
არ გყავს ბადალი,
მაგრამ ფხიზელი თავიდანვე
ეგ ჩემი თვალი,
ველარ დავხუქე, გადვიკიდე
აქ მთელი ჯარი;
დღეს ბრძოლაში ვარ, მაგრამ ვდგევარ
ვით კლდე მაგარი.
რჯულიც დავტოვე, მისთვის გავხდი
ეშმაკის „ცალი“
და რომ დავმარცხდე. არ ვარ ჯერე
ისე საწყალი.

ჭკუა. განა ერთს ავ-სულს ვერას გიზამს
ამდენი ჯარი?
მგონი რომ მალე ოხრად დაგრჩეს,
შენი აბჯარი!..
აი „შიმპანზეს“ ავარდნია
თავის ცანცარი,
ისიც შენ გეძებს, მაშ გაბედე
გაუღე კარი?!

სატანა. რა „შიმპანზეა“? გამოცანაში
არ იყო გვარი!
სიდან გაიგო მე არ მესმის!..
ვაჰ—მაგის ბრალი!
იმან არ იცის, ის ძლიერი
მათრახის ტარი?!.
ისე მოხვდება—ციბრუტივით
იწყოს კვანტალი.

სატანა.

გურული სცენა.

ოთარაის გასაჭირი.

ვაი დააქცევს და დაპტყალავს ღმერთი მის სუდიობას, რაფერ იმან გამომჯაყა მთელ სერესკელ ხალხში. შემიჩთენ ახალი სუდია მევიდა და დაპაიჯეო. გავაწყვე კაისაგან კაი სადილი, საცივი, გოჭის ხორცი, ქათმის ხორცი, შშრალი ხორცი; ღვინოს აბა ნულარ იკითხავ, ტყულაი რომაა ნაპერწკალს ყრიდა იმისთანაი იყო. ჭაჩეს და ქაჩეს ღვინო, სლიპეს და სლიპეს წვენი, თალეს და თალეს ხორცი; არ დუუტიებიან ფინჩხაი.

სუდიას ბატონო ნულარ იკითხავ, იმისანაი დათვრა რომე პოლი თლათ ჩასტკლიცა ბრიგინ-ბრიგინით! ყვიროდა ხან „ბრალეამიერს“, ხან „ოდელია რანუნის“; ბოლოს ერთი კაი რეჩიც კი თქვა ჩემი სადღინძელო; დედავ, გადვირიე კაცი სიხარულით, ვიპწკინე და ვიპწკინე, ვიფიქრე ღმერთმა გამაკეთა, სუდია ნაცნობი მყავს და აწი რაღა მიჭირს მეთქი. თურმე ნუ იტყვი გაგიარს შენი სადილი ძაღლის ყურყულსავით.

მიჩივლა სიკოლიამ, ოთარიკამ ჩუმათაი ყანის ღობე გამირღვია და ყანა თელათ შეუმულიაო. ყური არ გამიპარტყუნებია, ვიფიქრე ბოლოკს მაწყენს ერთს მეთქი, ერთი რომე მართალი ვიყავი, ტყუანიც რომ ვყოფილიყავი სუდია ზნაკომი მყავდა და ხელათ გამამართლებდა.

დამიბარეს სუდში. გივერიე კაცებში, ჩეკიყევი ჯიბეში ხელი და დევიწყე ტრაბახი, სიკოლიეი ბოლოკს მაწყენს მეთქი. თურმე იგი იქინეი იდგა, ბოლოკს თუ გაწყენ ქი დეინახავო მომაძახა. ბიჭო ოთარიკაი არ წახდება ისთე შენ რამე აწყინო, რას როშავ თუ იცი მეთქი.

ამასობაში გამეიძახეს სიკოლიეი, გამომიძახეს მეც. გივედი თავამათ, შტრინგათ, დუუკარი თავი სუდიას, მარა მაგიორი აფერი. დევიწყე: „ბატონო სუდიავ, სიკოლიამ ტყულაი მიჩივლა, მე აფერი ვიცი მეთქი“. სუდიეი გარისინდა, ჩამოლურსა ყური დაძინებულ ვირსავით და რაცხა დუულაპარაკა იქინეი გაჩერებულ კაცს. იმ კაცმა მითხრა: „ყორიფელი შენი გაჭივრება მითხარი და მე სუდიას მუახსენეფო“. დედავ, რუა, შენზე ვარესი ვინც იყოს დღმერმა შიარცხვინოს მეთქი, შენისთანაი ბაღანაი ათასი გამიზდია, ვიარები აღმა, დაღმა, ვიყავი სამტრედიაში, ლანჩხუთში, მუხიანაში, სვირშა და ლაპარაკს შენ მასტავლი მეთქი! სუდიას ქართული არ ეყურებაო მითხრა.

ახლა კი ამეწვა კანი, ოთარიკავ წახდა შენი საქმე ვიფიქრე, შენი ნაცნობი სუდია ნამდვილათ გამოუცვლიან მეთქი! დავპრაწე თვალები, ამეევწმინდე და კარქათ, მივიწიე ახლო, მივაშტერდი სუდიას და ქი არ ვიცანი ჩემი სუდია! ბრანწი ჩემო ძმიავ მეთქი, აი სუდია არაა ი მე რომ დავპაიჯე და ბრალეამიერ და ქართული რეჩი თქვა მეთქი.

რას ბეუტუტურობო, მიყვირა იმ კაცმა, იქინეი თუ ილაპარიკა აქანაი არ იცისო.

ვიფიქრე ამ სუდიას ნამდვილ უუმური შეხდენია მეთქი, მივარტყი და მივარტყი რუსული: „სარი-

სარი სარსარაი, დკანა-დგანა დგანდგანაი, ლოპე-ლობე თელთელაი, ეი ეი ბოხრიკაი“! რუსული არ ვიცოდი გეგონა მეთქი!

აგი რა რუსულიაო, მიყვირეს და მიყვირეს; სუდიამ კბილები დახეანა, იმ კაცმა თვალები დაპრაწა, შევშინდი და გამევიქეც: ვერ წახვალო დამიძახეს, ევიწიე ზეით, ავხტი აკოშკაზე, გადავხტი აკოშკიდან, დავეცი პრისტავს თავზე და გავაგორე პრისტავი მუთაქასავით!.. ეი მაკას, არ გაუშვათო, შეიქნა ფშვიტინი, არიქა ოთარიკავ თუ ვარგხარ მეთქი, დევიკაპიწე ჩოხა და ვქლიკე და ვქლიკე შინისაკენ.

ბუჯგუტი

*
* *

ყვავილთ კრებულს, ყვავილთ ბაღში
მზემ თავისი სხივი სტყორცნა
და უნდოდა მის მშვენებას
ჩახვეოდა, ჩაეკოცნა.

ცის მნათობმა ამავე დროს
ეკლის ბაღშიც ჩაიხედა,
რადგან სურდა—ყვავილთ მტრისთვის
საყვედური გაებედა.

მაგრამ ამ დროს ღრუბელთ კრებამ
შთახთქა ის მზე, მედიდური;
პირველს კოცნა დაუკარგა,
და მეორეს—საყვედური.

ოხ! ვის ძალ-უძს, რომ გაფანტოს,
ღრუბელთ კრება—ეკლის მცველი;
ყვავილთ ბაღმა კვლავ იხილოს—
მზისა სხივი საყვარელი.

მოსე.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(ისკანდერის სააგენტო)

ბათუმი. დიტო გუგუსკუას ეს ერთი ხანია ენა დაუგრძელდა. ექიმთა კონსულტაციამ დაადგინა: აუცილებლათ მოსჭრან „ლიშნი“ ენა.

— ნ. ს-ევი ძალიან გულმოსულია: მე რომ ათი წამი გადავაცილე მაღაზიის დაკეტვის დროს და დამაჯარიმეს, აკინიანი რა წითელი კვერცხია, მის სიცოცხლეში ათს კი არა ორმოც წამსაც აცილებს და არ დაუშტრაფავთო.

— ნორმალური დასვენების მეთვალყურე კომისია დიდ ენერგიას იჩენს, რომ სავაჭროები საღამოს თავის დროზე იქნას დაკეტილი მარა ასე ვთქვათ ცოტა ძილის მოყვარე ხალხია და ათ საათზე რომ წავლენ დასაძინებლათ, რესტორანები მთელი ღამე თავდა ყირა რომ დაეკიდოთ ვეფერს შეიტყობენ. საჭიროა აირჩეს ისეთი პირები რომლებიც მთელ ღამობით კარტსა და ნარდს თამაშობენ. ასეთ პირებს ადვილათ შეუძლიათ შენიშნოს რესტორანებში ქეიფი ლოსპოდინებიდან და უძილობა მოსამსახურეთაგან. იმედია კანდიდატებს დაასახელებენ ვისაც ამ საქმეზე შესტკივა გული.

—

აკეთი. აქაურ კარტოჟნიკებში დიდი მწუხარება ტრიალებს, რომ მამასახლისმა, თანახმათ ბ. ბოქაულის მოწერილობით გამოეცხადა, რომ დუქნების ახლო-მახლო კარტის თამაში არ შეიძლება. წინაალმდეგ შემთხვევაში 25 ქანქარის გადახდით დაემუქრა.

— დაეძებენ „კიას“ და ათვალიერებენ „მათრახში“ მის ნაწერს, მაგრამ ჰოჩერკით ვერ გამოიცნეს.

— ზოგიერთებმა ქეიფის (ტირილობის დროს) მოწინააღმდეგე პირებმა შეშალეს თავიანთი წინანდელი პრინციპეტი, რომლისთვის მოითხოვენ მათრახის კუდის წვერს.

კია.

აბაშა. ცნ. ქ-ნი „მკურნალი“ უცხო ხალხთ მოყვარე, ბესარიონს საჰედიატორო სამართალში იწვევს ასეთი ცოტა „პაციენტების“ დახვედრებისათვის.

ია—ძე.

სუფსა. შკოლის მზრუნველები ნაჰეტანი დაილალენ მეცადინეობით და თუ მათმა მოქმედებამ ასე ენერგიულათ გასტანა, შესაფერ ჯილდოს მიიღებენ ხალხიდან.

სანავთე. ელისეს დიდათ ემადლიერებიან მუშები რომელმაც კეთილ ინება და სამუშაოზე ისეთ მუშებს ლებულობს, რომელიც მას ეჭაშნიკება.

კონწაროხი.

ბ ა თ უ მ ი დ ა ნ.

ჩვენს ბათუმში შემოიღეს
ნორმალური დასვენება,
მაგრამ ვაჭრებს ეს ამბავი
სულაც არ ეპრიანება!

ვაჭრებთან მოხელეებმაც
მოიყვანეს ძლიერ გული,
უნდათ მათი სავაჭრო რომ
მუდამ ჰქონდეთ გაღებული.

ხალხს თუ უნდათ მოსვენება
ვერ მოდიან ამ გრძნობაზე,
ან კი როდის უფიქრიათ
ხალხის თავისუფლებაზე!.

იძახიან: რას მიქვია.
საათობით ვაჭრობაო,
განა კიდევ მოაბრუნეს
ის „ერთობა და ძმობა“.

დაკეტვის დროს არ ჰკეტავენ,
სურთ მოიგონ მეტი ფული,
მაგრამ მოგების მაგიერ
ბევრია „შტრაფული“.

უნდათ ფული, ბლომათ ფული
მუდამ მაღაზია ღია;

2 158
1913

ოღონდ ჯიბე დაისკელონ,'
ხალხი წყალსაც წაუღია.
და ჩხუბობენ, მოსდით გული,
ნოქრების აქვთ მათ ჯინია,
დავიწყნიათ, ამ საქმეში
ხალხს რომ აღარ ეშინია.

ისკანდერ.

გრიშაშვილისებური.

მიყვარს ფეხი ქალებისა,
მისკენა მაქვს მე თვალები;
ის ჩემია, მე—მისი ვარ,
ვეტრფი და ვენაცვალები.
ფეხო, ფეხო,
ოქროს ფეხო!
არ გიყვარვარ?
ცოდო არ ვარ?
ოქროს ფეხო შემიბრალე,
გენაცვალე, გენაცვალე!

—

დაგიკოცნი სატრფოვ ფეხებს,
თუნდ იყოს ტალახიანი,
არ მინდა დღე მე უშენოთ
და არც ღამე მთვარიანი!..
ოქროს ფეხო,
მომეხვიე,
მოვკვდე ცრემლი
დამაფრქვიე,
ოქროს ფეხო შემიბრალე,
გენაცვალე, გენაცვალე.

დ—ლაძე.

სიმღერა ფეხების პოეტისა:

მიყვარს ფეხი ლამაზების
აწეული, გაზზეკილი;
მე მას ვლოკავ დღისით, ღამით,
წამითაც არ მომდის ძილი.
ჩემი ტუჩნი, ის მალხაზი
მისთვისა მაქვს მომზადილი,
უიმისოთ მე არ მინდა—
არც ვახშამი, არც სადილი.

მიყვარს ფეხი ლამაზების,
ფეხი ტურფა, ფეხი ნაზი
და ეს ფეხი ყველა ქალის
მე რომ არ მაქვს მომდის ბრაზი;
მე იმისთვის დავამზადე:
ჩოთქი, ვაქსი, ლაქი, მაზი!
ვიშ! ბუნებავ! ეს ფეხები,
რა კოხტაა, რა ლამაზი.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12. რედ.-გამომც. თ. ბოლქვაძე